რას მოგვცემს ესპერანტო?

- იმისათვის, რომ უცხო ქვეყნებში ხალხს პირდაპირ და მარტივად დავუკავშირდეთ საჭიროა საერთო ენის არსებობა. ესპერანტოს გამოყენებით კი ჩვეულებრივ სხვებთან პირდაპირი და ახლო კონტაქტების დამყარებაა შესაძლებელი, განურჩევლად მშობლიური ენებისა.

- ესპერანტოზე თარგმნილ წიგნებს შორისაა სხვადასხვა პატარა ენებზე დაწერილი დიდი კლასიკური შედევრები და „ლიტერატურული მარგალიტები“, რომელთა გაცნობის შანსი სხვა შემთხვევაში არ გვექნებოდა.

- სხვა უცხო ენათა შესასწავლად ესპერანტოს საჭიროება არაერთმა კვლევამ დაადასტურა: მოკლედ, იმ შემთხვევაში თუ 1 წელი ესპერანტოს ისწავლით და შემდეგ მაგალითად 3 წელი ფრანგულს, ამ უკანასკნელს გაცილებით კარგად დაეუფლებით ვიდრე მაშინ, თუ მხოლოდ ფრანგულს ისწავლით 4 წლის მანძილზე.

- „საპასპორტო სერვისი“ (Pasporta Servo) - ესპერანტისტ მასპინძელთა საერთაშორისო ქსელი, რომელიც უკვე თითქმის 50 წელია ფუნქციონირებს; შეგიძლიათ სრულიად უფასოდ დარჩეთ ადგილობრივებთან მთელი მსოფლიოს გარშემო (90-ზე მეტ ქვეყანაში); შესაბამისად, ახლოს გაეცნოთ ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს და დაამყაროთ ახალი კავშირები იქაურ საზოგადოებასთან. ხშირად აღმოაჩენთ კიდეც, რომ მასპინძელსა და თქვენ საერთო ნაცნობებიც გყოლიათ და ასეთი კომუნიკაცია კი მარტივი და სასიამოვნოა.

- წლის ნებისმიერ დღეს, სადღაც, მსოფლიოში რომელიღაც ესპერანტო-ღონისძიება იმართება. ამ აქტივობებზე შეგიძლიათ თქვენთვის საინტერესო ნებისმიერი რამ აღმოაჩინოთ - საინტერესო თემებზე მოხსენებებით დაწყებული და მიმოწერის კურსებით დამთავრებული.

- ესპერანტოთი შეგიძლიათ გახდეთ მსოფლიოს ცოცხალი და აქტიური კულტურული საზოგადოების ნაწილი.

ენა გამონაკლისების გარეშე?

ესპერანტოს გრამატიკაში ძნელად მოიძებნება გამონაკლისები და მას არ გააჩნია არაწესირი ზმნები. წინადადებებში სიტყვათაწყობა თავისუფალია (და სხვადასხვა სტრუქტურების მქონე ენებზე მოსაუბრე ესპერანტისტებს აზრის უპრობლემოდ გამოხატვის შესაძლებლობა ეძლევა). ყოველი ასო ზუსტად ისე წარმოითქმის როგორც იწერება და იწერება ისე, როგორც წარმოითქმის! უამრავი სიტვის ძირი ადვილად საცნობია.

ესპერანტოზე საუბრის დასაწყებად მხოლოდ

- ესპერანტოზე არსებობს სიმღერები (როკი, ჰიპი, რეპი), ფილმები, პოეზია, რომანები, მიმოხილვები, თეატრი, კაბარეები. მუსიკალური ჯგუფები სხვადასხვა ქვეყნებიდან თავიანთ სიმღერებში სიამოვნებით იყენებენ ესპერანტოს. მასზე ბილწსიტყვაობაც კი შესაძლებელია!

- ესპერანტოს აგრეთვე ოჯახებშიც იყენებენ და არსებობს დაბადებიდანვე ესპერანტოზე



TEJO?

(ესპერანტისტთა მსოფლიო ახალგაზრდული ორგანიზაცია)

TEJO - ესაა ესპერანტისტთა მსოფლიო ახალგაზრდული ორგანიზაცია. იგი მსოფლიოს ყველა კუთხიდან ესპერანტოს ახალგაზრდა მოსაუბრეებს აკავშირებს.

TEJO აწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს, სადაც ახალგაზრდები ერთმანეთს უმეგობრდებიან, ერთობიან და ეცნობიან ესპერანტოს უნიკალურ კულტურას. TEJO ასევე ატარებს ტრეინინგებს ადამიანის უფლებებზე, კულტურათაშორის კომუნიკაციებსა და ტოლერანტობაზე. ახალგაზრდა ესპერანტისტები სიცოცხლით აღსავსე და ენერგიული საზოგადოებაა, შეკავშირებული ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზაციაში, რომელსაც საკუთრივ ახალგაზრდები უძღვებიან.

www.tejo.org

KA

ესპერანტი?

Kartvela Esperantista Klubo
www.facebook.com/Kartvelaeo

საერთაშორისო, ნეიტრალური, დემოკრატიული, სწრაფად შესწავლადი

გავრცელებულია მსოფლიოს 120-ზე მეტ ქვეყანაში. ძირითადად მას სწავლობენ სხვა კულტურებისადმი გახსნილი, სხვადასხვა ენებში დაინტერესებული და მოგზაურობის მოყვარული ახალგაზრდები, რომელთაც მოსწონთ მსოფლიოს გარშემო პირადი კონტაქტების ქონა.

იგი არაა რომელიმე კონკრეტული ერის, ეთნოსისა თუ ხალხის საკუთრება. ესპერანტო ეკუთვნის მათ, ვინც მას სწავლობს. ეს დიდი უპირატესობაა ენისთვის, რომლის ფუნქციაცაა სხვადასხვა ხალხს შორის თანასწორად მისაღწევი ხიდის შექმნა.

ენის რეგულარული სტრუქტურის წყალობით ჩვეულებრივ მისი შესწავლა სხვა უცხო ენებთან შედარებით გაცილებით მარტივია. ყველას, ვინც ესპერანტოს სწავლობს, აქვს კარგი შანსი მიაღწიოს მისი თავისუფლად ფლობის დონეს და შემდგომ თანაბარ დონეზე ესაუბროს სხვებს, განურჩევლად ენობრივი წარმოშობისა.

ლევ ტოლსტოი: „ექვსი წლის წინათ მე ესპერანტოს გრამატიკა და სიტყვათა წუსხა მივიღე; თითქმის ორსაათიანი მეცადინეობის შემდეგ მე უკვე შემეძლო წერა თუ არა თავისუფლად კითხვა მაინც...“ მასაც კი, ვინც ტოლსტოი არაა, იგივეს გასაკეთებლად გაცილებით დიდი დრო არც დასჭირდება.

სიაო პელანი, ჩინეთი: ჩემი აზრით ჩინელები ესპერანტოს გაცილებით მარტივად სწავლობენ ვიდრე ევროპულ ენებს. ის ჩინელები, რომელთაც უკვე შეისწავლეს ენა, სხვებისგან განსხვავებით ფლობენ უდიდეს უპირატესობას